	შერჩევა განხორციელდება მოსახლეობის მომართვიანობისა და წლის განმავლობაში წარმოქმნილი გადაუდებელი აუცილებლობის გათვალისწინებით.  ამ პროგრამაში ასახვას ჰპოვებს ძველი და ახალი პროექტები, კერძოდ:  ქ. ცაგერის ცენტრალური სტადიონის რეაბილიტაცია
<b>პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი</b>	პროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტის იერსახის გაუმჯობესებასთან დაკავშირებით სკვერებისა და რეკრეაციული ზონების კეთილმოწყობა; პროგრამის ფარგლებში რეაბილიტირებული სკვერებით შეიქმნება კომფორტული და ჯანსაღი გარემო მუნიციპალიტეტის მაცხოვრებლებისა და სტუმრებისათვის.

კოდი	ქვეპროგრამის დასახელება	მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის სამუშაოები (ფასადები და სკვერები)	2026 წლის დაფინანსება
			ათას ლარში
02 05 01			1501,65
<b>ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური</b>		ცაგერის მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის და არქიტექტურის სამსახური.	
<b>ქვეპროგრამის აღწერა</b>		<p>პროგრამით ფინანსდება ქვეპროგრამა სკვერები და მინისპორტული მოედნების მოწყობა. პროგრამა ფინანსდება როგორც ადგილობრივი ბიუჯეტით ასევე სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი დაფინანსებით.</p> <p>საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ცაგერის მუნიციპალიტეტისათვის გამოსაყოფი თანხების თანადაფინანსება გათვალისწინებული იქნება პროექტების შესაბამისად. მათ შორის განხორციელდება 4 სრული კომპლექტის მოწყობა(ტრენაჟორები, სკვერი, მინი მოედანი).ლოკაციების შერჩევა განხორციელდება მოსახლეობის მომართვიანობისა და წლის განმავლობაში წარმოქმნილი გადაუდებელი აუცილებლობის გათვალისწინებით.</p> <p>ამ პროგრამაში ასახვას ჰპოვებს ძველი და ახალი პროექტები, კერძოდ:  ქ.ცაგერის ცენტრალური სტადიონის რეაბილიტაცია</p>	
<b>ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი</b>		პროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტის იერსახის გაუმჯობესებასთან დაკავშირებით სკვერებისა და რეკრეაციული ზონების კეთილმოწყობა; პროგრამის ფარგლებში რეაბილიტირებული სკვერებით შეიქმნება კომფორტული და ჯანსაღი გარემო მუნიციპალიტეტის მაცხოვრებლებისა და სტუმრებისათვის.	

კოდი	ქვეპროგრამის დასახელება	სარწყავი არხების და ნაპირსამაგრი ნაგებობების მშენებლობა/რეაბილიტაცია	2026 წლის დაფინანსება
			ათას ლარში
02 05 04			0
<b>ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური</b>		ცაგერის მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის და არქიტექტურის სამსახური.	
<b>ქვეპროგრამის აღწერა</b>		<p>არსებული ფინანსური რესურსების ფარგლებში, ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება ცაგერის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სხვადასხვა ინფრასტრუქტურული პროექტების დაფინანსება.</p> <p>ლოკაციების შერჩევა განხორციელდება მოსახლეობის მომართვიანობისა და წლის განმავლობაში წარმოქმნილი გადაუდებელი აუცილებლობის გათვალისწინებით.</p>	
<b>ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი</b>		ქვეპროგრამის მიზანია სტიქიის პრევენცია; მუნიციპალიტეტის მოსახლეობის უსაფრთხოების გაზრდა; გზაბის და სხვა ინფრასტრუქტურის ესპლუატაციის ხანგრძლივობის გაზრდა;	



კოდი	პროგრამის დასახელება	რეგიონალური პროექტების პროექტირებისა და ტექნიკური ზედამხედველობის დაფინანსება	2026 წლის დაფინანსება
			ათას ლარში
02 06			391,25
<b>პროგრამის განმახორციელებელი სამსახური</b>		ცაგერი მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის და არქიტექტურის სამსახური. , ზედამხედველობის სამსახური	
<b>პროგრამის აღწერა</b>		პროგრამის ფარგლებში ხორციელდება მუნიციპალიტეტში მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესყიდვა. ამასთან, იმ ხელშეკრულებებზე რომელთა ღირებულება არ აღემატება 50.0 ათას ლარს პროექტის შემდგენი ახორციელებს შესრულებული სამუშაოების ექსპერტიზას. ამ პროგრამის ფარგლებში ასევე ფინანსდება 50.0 ლარზე მეტი თანხის ინფრასტრუქტურული პროექტების ტექნიკური ზედამხედველობის (საექსპერტო მომსახურების) სამუშაოების შესყიდვა. პროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტებისათვის დროულად და კვალიფიციურად მოხდეს საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა. ასევე, პროექტების განხორციელებისას ჩატარებული სამუშაოების ხარისხის უზრუნველყოფა მათზე მუდმივი ზედამხედველობის განხორციელების გზით. პროგრამის თანხების განკარგვა ხორციელდება რეგიონალურ დონეზე ჩატარებული კონსოლიდირებული ტენდერების	
<b>პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი</b>		ინფრასტრუქტურული პროექტების განსახორციელებლად საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია დროულად და კვალიფიციურად მომზადდება; შესრულებული ინფრასტრუქტურული პროექტების მაღალი ხარისხი, ისე რომ იგი აკმაყოფილებდეს პროექტით განსაზღვრულ და ქვეყანაში მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ სამშენებლო ნორმებს (სტანდერტებს)	

კოდი	პროგრამის დასახელება	სოფლის პროგრამა	2026 წლის დაფინანსება
			ათას ლარში
02 07			701.06
<b>პროგრამის განმახორციელებელი სამსახური</b>		ცაგერის მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის და არქიტექტურის სამსახური.	
<b>პროგრამის აღწერა</b>		სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში ცაგერის მუნიციპალიტეტს გამოეყოფა სპეციალური ტრანსფერი, რომლის გაანგარიშებაც ხდება შემდეგი პრინციპით:  ა) დასახლებას, რომელშიც მაცხოვრებელთა რაოდენობა შეადგენს არაუმეტეს 200 მაცხოვრებელს, გამოეყოფა 10 000 ლარი;  ბ) დასახლებას, რომელშიც მაცხოვრებელთა რაოდენობა შეადგენს 201-დან 400 მაცხოვრებელს, გამოეყოფა 12 000 ლარი;  გ) დასახლებას, რომელშიც მაცხოვრებელთა რაოდენობა შეადგენს 401-დან 1 000 მაცხოვრებელს, გამოეყოფა 16000 ლარი;  დ) დასახლებას, რომელშიც მაცხოვრებელთა რაოდენობა აღემატება 1 000 მაცხოვრებელს, გამოეყოფა 20 000 ლარი.  დასახლებაში განსახორციელებელი პროექტის შერჩევა ხორციელდება შემდეგი წესით:  ა) დასახლებაში, რომელშიც რეგისტრირებული ამომრჩევლის რაოდენობა შეადგენს არაუმეტეს 500 ამომრჩეველს, პროექტი შეირჩევა დასახლების საერთო კრებაზე, რომლის ჩატარებას უზრუნველყოფს შესაბამისი მუნიციპალიტეტის მერი;  ბ) დასახლებაში, რომელშიც რეგისტრირებული ამომრჩევლის რაოდენობა შეადგენს 501-დან 1000 ამომრჩეველს, პროექტი შეირჩევა ამომრჩევლებთან კონსულტაციების გზით, რომელშიც მონაწილეობა უნდა მიიღოს არანაკლებ 100 ამომრჩეველმა;	



	<p>გ) დასახლებას, რომელშიც რეგისტრირებული ამომრჩევლის რაოდენობა აღემატება 1000 ამომრჩეველს, პროექტი შეირჩევა ამომრჩევლებთან კონსულტაციების გზით, რომელშიც მონაწილეობა უნდა მიიღოს არანაკლებ 200 ამომრჩეველმა.</p> <p>თანხის გამოყოფასთან და ხარჯვასთან დაკავშირებული სხვა პროცედურები და კრიტერიუმები განსაზღვრულია საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 დეკემბრის #2752 დადგენილებით.</p>
<b>პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი</b>	<p>მოსახლეობის აქტიურობის გაზრდა, მოსახლეობის აზრის გათვალისწინება საკუთარი დასახლების (სოფლის) პრობლემების გადაწყვეტაში;</p> <p>იმ მცირე პროექტების დაფინანსება, რომელთა პრიორიტეტულობასაც განსაზღვრავს კონკრეტული დასახლების (სოფლის) მოსახლეობის უმრავლესობა</p>

კოდი	პროგრამის დასახელება	მუნიციპალური ტრანსპორტის სუბსიდირება	2026 წლის დაფინანსება
			ათას ლარში
02 09			189.8
<b>პროგრამის განმახორციელებელი სამსახური</b>		ცაგერის მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის და არქიტექტურის სამსახური.	
<b>პროგრამის აღწერა</b>		<p>კვლავ აქტუალური რჩება შიდარაიონული ტრანსპორტის გამართული მუშაობის უზრუნველყოფა. საწვავისა და მარაგ ნაწილების სულ უფრო მზარდი ფასები ასახავს პოულობს მგზავრობის საფასურზე. პროგრამის ძირითადი დანიშნულებაა შიდარაიონული ტრანსპორტით მოსარგებლე მოსახლეობისათვის არსებული ტარიფის შენარჩუნება შესაბამისი ორგანიზაციის სუბსიდირების გზით, რასაც მნიშვნელოვანი სოციალური დატვირთვაც გააჩნია. ამ მიზნით 2024 წელსაც განხორციელდება ცაგერი-ტვიშის, ცაგერ-ლაილაში-თაბორის, ცაგერ-ღვირიშის, ცაგერი-ზოგინში, ცაგერი-ოყურეში, ცაგერი-ქულბაქი, ცაგერი-მახაში, ცაგერი-დეხვირი, ცაგერი-უსახელო და ცაგერი-აღვის მიმართულებებზე მოძრავი საზოგადოებრივი ტრანსპორტისათვის საწვავის თანხის გამოყოფა და სუბსიდირების სახით გადაცემა. (გადაზიდვებს ახორციელებს შ.პ.ს. „საჭე-ცაგერი“) .ამავე პროგრამით ხორციელდება მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების მოსწავლეთა ტრანსპორტირება</p> <p>პროგრამის ფარგლებში ადგილობრივი მნიშვნელობის გზებზე მოქმედებს 19 სამარშრუტო ხაზი, გავლით მეთოდის გამოყენებით მოცულია თითქმის ყველა დასახლებული პუნქტი, ამასთანავე მოსახლეობის დაბალკადახდისუნარიანობის გამო დახარჯული საწვავის ღირებულებას სრულად ანაზღაურებს მუნიციპალიტეტის მერია.</p> <p>გარდა ამისა მოქმედებს 16 საქალაქთაშორისო მარშრუტი, მათ შორის დედაქალაქის მიმართულებით 1, ხოლო ქუთაისის მიმართულებით 15 მარშრუტი, საბაზრო ფასების შესაბამისად.</p>	
<b>პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი</b>		პროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტის ყველა დასახლებული პუნქტის შეუფერხებელი დაკავშირება რაიონულ ცენტრთან	

კოდი	პროგრამის დასახელება	დონორ ორგანიზაციებთან ერთად ერთობლივი ინფრასტრუქტურული პროექტების თანადაფინანსება	2026წლის დაფინანსება
			ათას ლარში
02 10			10,0
<b>პროგრამის განმახორციელებელი სამსახური</b>		ცაგერი მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის და არქიტექტურის სამსახური, ზედამხედველობის სამსახური	
<b>პროგრამის აღწერა</b>		პროგრამის ფარგლებში განხორციელდება საქარველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დაფინანსებული საინვესტიციო ინფრასტრუქტურული პროექტების თანადაფინანსება (1-5%),	
<b>პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი</b>		ინფრასტრუქტურული პროექტების შეუფერხებელი განსახორციელების უზრუნველყოფა	



კოდი	პროგრამის დასახელება	ა(ა)იპ ადმინისტრაციულ ერთეულებში ადგილობრივი თვითმმართველობის დაფინანსებული მუშაობის განვითარებისა და ხელშეწყობის ცენტრი	2026 წლის დაფინანსება
			ათას ლარში
02 12			135,7
<b>პროგრამის განმახორციელებელი სამსახური</b>		ცაგერი მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის და არქიტექტურის სამსახური, ზედამხედველობის სამსახური	
<b>პროგრამის აღწერა</b>		გზების მდგომარეობის გასაუმჯობესებლად და შესაბამისი ინფრასტრუქტურის მოწყობაში რეალური შედეგების მისაღწევად, წყალმომარაგების სისტემის ხელმძღვანელობის კონტროლის მიზნით, მისი სანიტარულ -ჰიგიენურ პირობების, ასევე სასოფლო-სამეურნეო დარგის აღდგენა-განვითარების თვალსაზრისით, არსებული პრობლემების აღმოფხვრა	
<b>პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი</b>		მუნიციპალიტეტის სხვადასხვა პრიორიტეტების უწყვეტი განვითარების უზრუნველყოფა	

## მუხლი 15. დასუფთავება და გარემოს დაცვა

დასუფთავება და გარემოს დაცვა მუნიციპალიტეტის ერთ-ერთი პრიორიტეტია, პრიორიტეტის დაფინანსებისათვის განისაზღვროს 1231,8 ათასი ლარი. დასუფთავება და გარემოს დაცვის პრიორიტეტის ფარგლებში დაფინანსებული პროგრამების და ქვეპროგრამების მიზნები და მოსალოდნელი შედეგები განისაზღვროს შემდეგი რედაქციით:

ათას ლარში

პროგრამული კოდი	დასახელება	2026 წელი
		სულ
03 00	დასუფთავება და გარემოს დაცვა	1231,8
03 01	დასუფთავება და ნარჩენების გატანა	0,0
03 03	ა(ა)იპ - ცაგერის კომუნალური მომსახურება	1231,8

კოდი	ქვეპროგრამის დასახელება	დასუფთავება და ნარჩენების გატანა	2026 წლის დაფინანსება
			ათას ლარში
03 03			1231,8
<b>ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური</b>		ა(ა)იპ - ცაგერის კომუნალური მომსახურება	
		ქალაქსა და მუნიციპალიტეტში შემავალ ადმინისტრაციული ერთეულებიდან ნარჩენების მოგროვებას და გატანას, რომელსაც ემსახურება 2 ერთეული ნაგვის გამტანი ავტომანქანა. ნარჩენების გატანა (კონტეინერების დაცლა) ხორციელდება ქალაქ ცაგერიდან და მუნიციპალიტეტის სოფლიდან. შეგროვებული ნარჩენები გადის ქ.ცაგერის ნაგავსაყრელებზე. პროგრამიდან ფინანსდება ქალაქის ქუჩების და სკვერების სისუფთავის დაცვა, ქალაქის სასაფლაოს მოვლა-პატრონობა, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებული საზოგადოებრივი ტუალეტების	



<p><b>პროგრამის აღწერა</b></p>	<p>მოვლა-შენახვა, ქალაქის ტერიტორიის კეთილმოწყობა, გამწვანება და დაცვა პირუტყვისაგან, უპატრონო მანქანა-მანქანის კანონის ფარგლებში ლოკალიზაცია. სანიაღვრე მეურნეობის გამართული მუშაობა, ცაგერის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების ადმინისტრაციული შენობისათვის შესაბამისი მომსახურების გაწევა და სხვა სამუშაოების შესრულება.</p> <p>პროგრამისთვის გამოყოფილ ასიგნებები ასევე მოიცავს ა(ა)იპ - კომუნალური მომსახურების ადმინისტრაციულ ხარჯებს, მათ შორის, ხელშეკრულებით აყვანილ პერსონალის (მეზოოვები, მძღოლები, ზედამხედველები და სხვა) ხელფასებს. ადმინისტრაციული ერთეულის საზღვრებში ჩამოყალიბდა მუნიციპალური ნარჩენების შეგროვების, ტრანსპორტირების, ინერტული, სამშენებლო და ნგრევის ნარჩენების სისტემა, 59 დასახლებული პუნქტიდან ნარჩენების შეგროვება და გატანის სერვისით სრულად მოცულია ქ. ცაგერი, სოფ. ქვედა ცაგერი, ჭალისთავი, ჩხუტელი ორბელი, ხოლო ნაწილობრივ 29 სოფელი და ტურისტული ადგილები, ხოლო დაგვა დასუფთავების სერვისით მოცულია ქ. ცაგერი</p> <p>2024-2026 წლებისათვის იგეგმება გარემოს დასუფთავებისა და ნარჩენების გატანის სერვისის გაფართოება, მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა და განვითარება, სეპარირებული შეგროვების დანერგვა</p>
<p><b>პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი</b></p>	<p>ცაგერის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მიღწეული იქნება ესთეტიკური და ჰიგიენური იერსახის მოწესრიგება, სისუფთავის და სანიტარული მდგომარეობის მაღალი დონე. ქალაქის ტერიტორიის კეთილმოწყობა, გამწვანება და დაცვა პირუტყვისაგან, მთელი წლის მანძილზე შეუფერხებლად განხორციელდება ცაგერის მუნიციპალიტეტის დასუფთავება და ქალაქიდან ნარჩენების გატანა; მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებული საზოგადოებრივ ტულატებში დაცული იქნება ჰიგიენური ნორმები, რაც მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს მოსახლეობის და ვიზიტორთა კეთილდღეობას, სხვა დამატებითი ღონისძიებები. ქალაქისა და მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დაირგვება ერთწლიანი და მრავალწლიანი ნარგავები; მოხდება მათი მორწყვა, შხამ ქიმიკატების შეტანა და ნიადაგის გაფხვიერება. განხორციელდება ქალაქისა და მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სვერებისა და გზის ნაპირის გაცეცხვითი სამუშაოები.</p>

**მუხლი 16. განათლება**

განათლების პრიორიტეტის დაფინანსებისათვის განისაზღვროს 3704,8 ათასი ლარი. განათლების პრიორიტეტის ფარგლებში დაფინანსებული პროგრამების და ქვეპროგრამების მიზნები და მოსალოდნელი შედეგები განისაზღვროს შემდეგი რდაქციით:

*ათას ლარში*

პროგრამული კოდი	დასახელება	2026 წელი
04 00	განათლება	3704,8
04 01	სკოლამდელი დაწესებულებების ფუნქციონირება	2425.4
04 02	მოსწავლე ახალგაზრდობის სახლი	157, 1
04 03	სკოლამდელი დაწესებულებების რეაბილიტაცია, მშენებლობა	115,7
04 04	ზოგადსაგანმანათლებლო ობიექტების რეაბილიტაცია, მშენებლობა	587,1
04 05	საჯარო სკოლების მოსწავლეთა ტრანსპორტით უზრუნველყოფა	419.5

კოდი	პროგრამის დასახელება	სკოლამდელი დაწესებულებების ფუნქციონირება	2026წლის დაფინანსება
			ათას ლარში
04 01			2425.4
<b>პროგრამის განმახორციელებელი სამსახური</b>			ა(ა)იპ სკოლამდელი და სკოლისგარეშე საადმინისტრაციო დაწესებულებების მართვის ცენტრი
საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მიხედვით ადრეული			



<p><b>პროგრამის აღწერა</b></p>	<p>და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების შექმნა და მათი ფუნქციონირების უზრუნველყოფა მუნიციპალიტეტის საკუთარ (ექსკლუზიურ) უფლებამოსილებას წარმოადგენს. ამავე კანონის მიხედვით ასევე აკრძალულია მუნიციპალიტეტის მართვაში არსებულ ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების საჯარო დაწესებულებებში სასწავლო-აღმზრდელობითი მომსახურებისა და კვებითი მომსახურებისათვის გადასახადის, ტარიფის ან სხვა საფასურის შემოღება.</p> <p>შესაბამისად, მუნიციპალიტეტი ვალდებულია უზრუნველყოს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების შეუფერხებელი ფუნქციონირებისათვის საჭირო ფინანსების გამოყოფა და ყველა სხვა ღონისძიების გატარება. ცაგერის მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ ძირითად პრიორიტეტს სწორედ მუნიციპალიტეტში მცხოვრები ბაღის ასაკის ბავშვებისათვის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ხელმისაწვდომობა წარმოადგენს. დღეის მდგომარეობით ცაგერის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ფუნქციონირებს 14 სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება, სადაც საადმზრდელო პროცესს გადის 165-ზე მეტი ბავშვი. ბაღებში ჯამში დასაქმებულია 22ადმზრდელი და 16 თანაშემწე. ბაღებში სრულფასოვანი საადმზრდელო გარემოს შექმნა, სადაც დაცული იქნება „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნები და საქართველოს მთავრობის 2017 წლის 30 ოქტომბრის №488 დადგენილებით დამტკიცებული „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტები“;</p> <p>ბაღებში სანიტარული და ჰიგიენური ნორმების დაცვა, რომელიც შესაბამისობაში იქნება საქართველოს მთავრობის 2017 წლის 27 ოქტომბრის №485 დადგენილებით დამტკიცებული ტექტიკური რეგლამენტის დადგენილ ნორმებთან;</p> <p>ბაღებში მატერიალურ ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება;</p> <p>ბაღებში კვების ორგანიზებისა და რაციონის ნორმების დაცვა, რომელიც შესაბამისობაში იქნება საქართველოს მთავრობის 2017 წლის 30 ოქტომბრის №487 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტის დადგენილ ნორმებთან;</p> <p>ძირითადი აქტივების მიმდინარე შეკეთება და მოვლა-შენახვა;</p> <p>ბაღებში და გაერთიანების ადმინისტრაციაში დასაქმებული პერსონალის შრომითი პირობებისა და სახელფასო ანაზღაურების გაუმჯობესება.</p>
<p><b>პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი</b></p>	<p>პროგრამის მიზანია: მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები 2-დან 6 წლამდე ყველა ბავშვის უზრუნველყოფა საბავშვო ბაღის მომსახურებით, შესაბამის საადმზრდელო პროცესით. სკოლის ასაკს მიღწეული ბავშვები მზაობა საშუალო განათლების მიღებისათვის.</p> <p>პროგრამის მიზანს ასევე წარმოადგენს მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში საადმზრდელო პროცესის უზრუნველყოფა შესაბამისი პირობებით, მათ შორის: საადმზრდელო დაწესებულებებში დაცული იქნება სახელმწიფოს მიერ დადგენილი სტანდარტების უმეტესობა, დაცული იქნება სანიტარული და ჰიგიენური, კვების ორგანიზებისა და კვების რაციონის ნორმები;</p>

კოდი	პროგრამის დასახელება	მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი	2026 წლის დაფინანსება
			ათას ლარში
04 02			157,1
<p><b>პროგრამის განმახორციელებელი სამსახური</b></p>	<p>ა(ა)იპ სკოლამდელი სა სკოლისგარეშე საადმზრდელო დაწესებულებების მართვის ცენტრი</p>		
<p><b>პროგრამის აღწერა</b></p>	<p>პროგრამის მიზანია მოსწავლეების პროფესიული დაოსტატებისა და საზოგადოებრივ შრომით საქმიანობაში ჩართულობა, ასევე ხელშეწყობა მოსწავლეთა გონივრული დასვენებისა და თავისუფალი დროის სწორად გამოყენებისათვის. ფუნქციონირებს სხვადასხვა წრეები, სადაც გაერთიანებული არიან მუნიციპალიტეტის სხვადასხვა საჯარო სკოლების მოსწავლეები. მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების, ბაღის აღსაზრდელების და მოსახლეობის ჩართვა სხვადასხვა კონკურსებში, ხელოვნების მოყვარულთა წახალისება-პატივისცემა, მუსიკალური-ქორეოგრაფიული მონაცემების განვითარება და დახვეწა, ეროვნული ღირებულებებისადმი ერთგულების ჩამოყალიბებ ახალგაზრდობაში, პოეზიის პატივისცემა, წარსულისადმი ინტერესის გაღვივება და პატრიოტული სულისკვეთების გამომუშავება მოსწავლე-ახალგაზრდობაში. კულტურული მემკვიდრეობისა და ეროვნული ფასეულობებისადმი პატივისცემა, ტრადიციების აღდგენა-ჩამოყალიბება.</p>		
<p><b>პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი</b></p>	<p>მოსწავლეთა პიროვნული და თავისუფალი შემოქმედებითი აზროვნების განვითარება. აუმაღლდეს აზროვნება, მსჯელობისა და არგუმენტირების უნარ-ჩვევები, შეექმნას და გაუმყარდეს საფუძველი პროფესიის არჩევის, დაოსტატებისა და საზოგადოებრივ შრომით საქმიანობაში აქტიურად ჩართვისათვის.</p>		

**მუხლი 17. კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი**

მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურული და ეკონომიკური განვითარების პარალელურად აუცილებელია ხელი შეეწყოს კულტურული ტრადიციების დაცვას და ამ ტრადიციების ღირსეულ გაგრძელებას. ამასთანავე ერთ-ერთი პრიორიტეტი ახალგაზრდობის მრავალმხრივი (როგორც



სულიერი, ისე ფიზიკური თვალსაზრისით) განვითარების ხელშეწყობა და მათში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება.

შესაბამისად, მუნიციპალიტეტი განაგრძობს კულტურული ღონისძიებების ფინანსურ მხარდაჭერას, წარმატებული სპორტსმენების ხელშეწყობას და შესაბამისი პირობების შექმნას რათა ნიჭიერმა ბავშვებმა და ახალგაზრდებმა შეძლონ მათი სპორტული შესაძლებლობების გამოვლინება, ასევე ახალგაზრდებში ცხოვრების ჯანსაღი წესის წახალისების მიზნით გასატარებელი ღონისძიებების ჩატარება.

პროგრამული კოდი	დასახელება	2026 წელი
05 00	კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი	4271,9
05 01	სპორტის განვითარების ხელშეწყობა	1149,3
05 01 01	ა(ა)იპ ცაგერის სასპორტო სკოლა	550,4
05 01 02	ა(ა)იპ საფეხბურთო გუნდი ხვამლი	326,5
05 02 03	ა(ა)იპ ფრენბურთის კლუბი ცაგერი	272,4
05 02	კულტურის განვითარების ხელშეწყობა	3092,6
05 02 01	ა(ა)პ კულტურის ცენტრი	625,6
05 02 02	ისტორიული მუზეუმი	331,3
05 02 03	სამუსიკო სკოლა	155,0
05 02 04	სამხატვრო სკოლა	115,1
05 02 05	მთავარი ბიბლიოთეკა	368,2
05 02 06	კულტურის ღონისძიებები	193,9
05 02 09	ბავშვთა და ქალთა უფლებების დაცვის ცენტრი	263,4
05 02 11	ესთეტიკური აღზრდის ცენტრი	108,6
05 02 15	ტურიზმის განვითარების და ძეგლთა დაცვის ხელშეწყობის ცენტრი	215,0
05 02 16	დეხვირის ენთოგრაფიულ არქეოლოგიური მუზეუმი ღია ცის ქვეშ	80,4
05 02 14	ახალგაზრდობის მხარდაჭერა	630,0
05 02 08	ტელე რადიო მაუწყებლობა და საგამომცემლო საქმიანობა	6,1

კოდი	ქვეპროგრამის დასახელება	სპორტის სფეროს განვითარება	2026 წლის დაფინანსება
			ათას ლარში
05 01			1139,3
		აიპ ცაგერის სასპორტო სკოლა	



<p><b>ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური</b></p>	<p>ა(ა)იპ ფეხბურთის გუნდი ცაგერი</p> <p>ა(ა)იპ ფრენბურთის კლუბი ცაგერი</p>
<p><b>ქვეპროგრამის აღწერა</b></p>	<p>მუნიციპალიტეტი დიდ ყურადღებას უთმობს მოზარდებში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას, მათ ჩართვას სხვადასხვა სპორტულ სახეობებში. ამ მიზნით მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან ყოველწლიურად გამოიყოფა ასიგნებები სპორტული დაწესებულებების ხელშეწყობის პროგრამისთვის. პროგრამის ფარგლებში ფინანსდება ცაგერის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოქმედი სასპორტო სკოლა, საფეხბურთი კლუბი "ხვამლი" და ფრენბურთის კლუბი „ცაგერი“.</p> <p>სასპორტო სკოლაში ფუნქციონირებს სპორტული წრეები: ჭიდაობა(მიუდო, სამბო, ქართული ჭიდაობა), ორთაბრძოლები, მკლავჭიდი,კალათბურთი, ჭადრაკი, რაგბი, კარტე, მაგიდის ჩოგბურთი, სკოლის აღსაზრდელები პერიოდულად გადიან სპორტულ შეკრებებს, მონაწილეობას ღებულობენ სპორტულ შეჯიბრებებში და ტურნირებში საქართველოს მასშტაბით.</p> <p>საფეხბურთო კლუბ „ხვამლი“ ასაკობრივი ჭრილის მიხედვით ფუნქციონირებს 3 საფეხბურთო სექცია (ასაკობრივი ჯგუფი). 2 ასაკობრივი გუნდი მონაწილეობას ღებულობს რეგიონალურ ტურნირებში. ფუნქციონირებს გოგონათა გუნდი.ფრენბურთის კლუბი „ცაგერი“ ფუნქციონირებს დიდების გუნდი, ქვიშის და თოვლის ფრენბურთის გუნდები, მოზარდების, კლუბის გუნდი საქართველოს ჩემპიონია, გუნდები აქტიურ მონაწილეობას იღებენ რეგიონალურ და ქვეყნის ჩემპიონატებში, სხვადასხვა ფესტივალებში.</p>
<p><b>ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი</b></p>	<p>პროგრამის მიზანია:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>- ხელი შეუწყოს მოზარდებში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას;</li> <li>- მეტი მოზარდის ჩართვა სპორტში;</li> <li>- მუნიციპალიტეტის სპორტული შედეგების წარმოჩენა ქვეყნის მასშტაბით.</li> </ul> <p>მოსალოდნელი შედეგი: წლიდან წლამდე სასპორტო სკოლით მოსარგებლეთა გაზრდილი რაოდენობა</p>

კოდი	ქვეპროგრამის დასახელება	ა(ა)იპ ცაგერის სასპორტო სკოლა	2026 წლის დაფინანსება
			ათას ლარში
05 01 01			550,4
<p><b>ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური</b></p>	<p>ა(ა)იპ ცაგერის სასპორტო სკოლა</p>		
<p><b>ქვეპროგრამის აღწერა</b></p>	<p>ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება სასპორტო სკოლა. სასპორტო სკოლაში ფუნქციონირებს სპორტული წრეები, ესენია: ჭიდაობა(მიუდო, სამბო, ქართული ჭიდაობა), ორთაბრძოლები, მკლავჭიდი,კალათბურთი; ჭადრაკი; რაგბი; კარტე; მაგიდის ჩოგბურთი. სკოლაში სამწვრთნელო პროცესი, დასვენების დღეების გარდა, მიმდინარეობს ყოველდღიურად. სკოლის აღსაზრდელები პერიოდულად გადიან სპორტულ შეკრებებს, მონაწილეობას ღებულობენ სპორტულ შეჯიბრებებში და ტურნირებში მუნიციპალიტეტის, რეგიონის და საქართველოს მასშტაბით. წარმატებით მონაწილეობენ ქვეყნის გარეთ საერთაშორისო ტურნირებში</p>		
<p><b>ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი</b></p>	<p>ქვეპროგრამის მიზანია:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>- ხელი შეუწყოს მოზარდებში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას;</li> <li>- მეტი მოზარდის ჩართვა სპორტში;</li> <li>- მუნიციპალიტეტის სპორტული შედეგების წარმოჩენა ქვეყნის მასშტაბით.</li> </ul> <p>მოსალოდნელი შედეგი: წლიდან წლამდე სასპორტო სკოლით მოსარგებლეთა გაზრდილი რაოდენობა</p>		



კოდი	ქვეპროგრამის დასახელება	ა(ა)იპ ფეხბურთის გუნდი ხვამლი	2026 წლის დაფინანსება	
			ათას ლარში	
05 01 02			326,5	
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური		ა(ა)იპ ფეხბურთის გუნდი ხვამლი		
ქვეპროგრამის აღწერა		<p>ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება საფეხბურთო კლუბი ხვამლი. აღნიშნული თანხა ხმარდება მუნიციპალიტეტში ბავშვთა ფეხბურთის განვითარებას. კლუბში ასაკობრივი ჭრილის მიხედვით ფუნქციონირებს 3 საფეხბურთო სექცია (ასაკობრივი ჯგუფი). კლუბში საფეხბურთო ვარჯიშები მიმდინარეობს ყოველდღიურად. 2 ასაკობრივი გუნდი მონაწილეობას ღებულობს რეგიონალურ ტურნირებში. ფინანსდება გოგონათა გუნდი. ქვეპროგრამის ფარგლებში ასევე ფინანსდება მწვრთნელების ხელფასები, კლუბის კომუნალური და სხვა გადასახადები, ტურნირებში მონაწილე გუნდების მივლინებების, გუნდების ეკვიპირების და სხვა ხარჯები.</p>		
ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი		<p>ქვეპროგრამის მიზანია:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>- ხელი შეუწყოს მოზარდებში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას;</li> <li>- რეგიონალურ ტურნირებზე მონაწილეობა და საპრიზო ადგილების დაკავება;</li> <li>- მეტი მოზარდის ჩართვა ფეხბურთში ;</li> </ul> <p>-ნიჭიერი ფეხბურთელების აღმოჩენა          მოსალოდნელი შედეგი: წლიდან წლამდე ფეხბურთით დაკავებული მოზარდების გაზრდილი რაოდენობა</p>		

კოდი	ქვეპროგრამის დასახელება	ა(ა)იპ ფრენბურთის კლუბი ცაგერი	2026 წლის დაფინანსება	
			ათას ლარში	
05 01 03			272,4	
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური		ა(ა)იპ ფრენბურთის კლუბი ცაგერი		
ქვეპროგრამის აღწერა		<p>ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება ფრენბურთის კლუბი ცაგერი. აღნიშნული თანხა ხმარდება მუნიციპალიტეტში ფრენბურთის განვითარებას. მონაწილეობას ღებულობს საქართველოს ჩემპიონატში . კლუბში არსებობს ქვიშის და თოვლის“ ფრენბურთის გუნდები, კლუბის მწვრთნელები და მსაჯეები მონაწილეობას იღებენ ქვეყნის სხვადასხვა ტურნირებში. ახალგაზრდა ფრენბურთელების აღზრდა საქართველოს ნაკრებისთვის . ქვეპროგრამის ფარგლებში ასევე ხორციელდება ახალი სპორტული</p>		



კომპლექსის ფუნქციონირების უზრუნველყოფა.

**ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი**

მუნიციპალიტეტში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრება, სპორტული ცხოვრების დონის ამაღლება და მოსახლეობის სპორტულ აქტივობებში ჩართულობის გაზრდა.

კოდი	ქვეპროგრამის დასახელება	კულტურის ღონისძიებები	2026 წლის დაფინანსება
			ათას ლარში
05 02			3092.6
	<b>ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური</b>	<p>ა(ა)იპ - ცაგერის კულტურის ცენტრი; ა(ა)იპ მთავარი ბიბლიოთეკა ტელე მმსაუწყებლობა და საგამომცემლო საქმიანობა,</p> <p>ა(ა)იპ - სამუსიკო სკოლა; ა(ა)იპ ქალთა და ბავშვთა უფლებების დაცვის ცენტრი</p> <p>ა(ა)იპ - სამხატვრო სკოლა. ა(ა)იპ ესთეტიკური აღზრდის ცენტრი</p> <p>ა(ა)იპ - ისტორიული მუზეუმი ა(ა)იპ ტურიზმის განვითარების და ხელშეწყობის ცენტრი, მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური</p>	
	<b>ქვეპროგრამის აღწერა</b>	<p>ცაგერის მუნიციპალიტეტი დიდ ყურადღებას უთმობს ადგილობრივი კულტურულ საგანმანათლებლო ორგანიზაციების ხელშეწყობას. ამ მიზნით მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან ყოველწლიურად ასიგნებები გამოიყოფა კულტურის სფეროს დაწესებულებების პროგრამისათვის. პროგრამის შედეგადად ქვეპროგრამისაგან და იგი შესაბამისად ხორციელდება მუნიციპალური ა(ა)იპ-ის ბაზაზე, ესენია:</p> <p>ა(ა)იპ - ცაგერის კულტურის ცენტრი ქვეპროგრამის ფარგლებში ფუნქციონირებს და ფინანსდება სახალხო თეატრი,სახალხო ანსამბლი „სალაღობო“ თეატრებში წარმოდგენებს მართავს როგორც ცაგერის მუნიციპალიტეტში ასევე ქვეყნის სხვადასხვა რეგიონში.</p> <p>ა(ა)იპ - ცაგერის სამუსიკო სკოლის ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება ცაგერის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოქმედი სამუსიკო განათლების სკოლა. სამუსიკო სკოლაში გაერთიანებულია: საფორტეპიანო, საგუნდო და ქართული ხალხური სიმღერების. სამუსიკო სკოლაში სახელოვნებო სამუსიკო განათლებას იღებსცაგერში მუნიციპალიტეტში მცხოვრები 70 ბავშვი.</p> <p>ა(ა)იპ - სამხატვრო სკოლის ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება ცაგერის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოქმედი სამხატვრო სკოლა. სამხატვრო სკოლაში ისწავლება სახვითი ხელოვნების და გამოყენებითი ხელოვნების დარგები. სკოლაში სამხატვრო განათლებას იღებს ცაგერის მუნიციპალიტეტში მცხოვრები 50 ბავშვი.</p> <p>ცაგერის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური ახორციელებს სხვადასხვა ღონისძიებებს, კერძოდ,</p> <ol style="list-style-type: none"> <li>1. <b>ქალთა საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება</b> - ქალაქ ცაგერში ქუჩებში სხვადასხვა ორგანიზაციებში დასაქმებულ ქალბატონებისათვის, 8 მარტის ყვავილებით მილოცვა</li> <li>2. <b>მემორიალზე 1989 წლის 9 აპრილის გარდაცვლილთა ხსოვნის პატივის მიცემა</b> - 9 აპრილს გარდაცვლილთა ხსოვნის პატივის მისაგებად მემორიალს შეამკობენ სამელოვიარო გვირგვინით და ტიტებით.</li> <li>3. <b>საქართველოს დამოუკიდებლობის დღის აღნიშვნა</b>- ცაგერის მუნიციპალიტეტის საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი კვირეული.</li> <li>4. <b>ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღის აღნიშვნა</b>- ღონისძიების ფარგლებში იქნება მოწყობა ზღაპრის გმირების თეატრალური მსვლელობა, გაიმართება თამაშები. დღის ბოლოს გაიმართება საბავშვო კონცერტი.</li> <li>5. <b>საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის 2008 წელის და აფხაზეთის ომში (1992-1993) მებრძოლი დაღუპული ქართველების ხსოვნის პატივისცემა</b></li> <li>6. <b>საცხენოსნო შეჯიბრება დოდი</b></li> </ol>	
		<p>კულტურულ შემოქმედებით ცხოვრებაში მოსახლეობის ფართო მასების ჩართულობა, მოსახლეობაში ტრადიციული კულტურის პოპულარიზაცია, შემოქმედებითი უნარების</p>	



ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი

განვითარება; თეატრალური სფეროსადმი, ბიბლიოთეკებისა და მუზეუმებისადმი მოსახლეობის დაინტერესების ზრდა და ჩართულობის გაზრდა; მუსიკის, ხელოვნების შესწავლით დაინტერესებულ პირთა მოძიება და შეკრება. მუსიკალური ნიჭით დაჯილდოვებული ხელოვნების მოყვარული მოსწავლეების წარმოჩინება და ხელოვნების სფეროს პროპაგანდა. სამხატვრო სკოლის პროფილების განვითარება, სასწავლო დონის ამაღლება, ხელოვნების მოყვარულ მოზარდთა კონტიგენტის გაზრდა. სამხატვრო სკოლის აღსაზრდელთა ჩართულობა გამოფენებში და სხვა შემოქმედებით ღონისძიებებში.

კოდი	ქვეპროგრამის დასახელება	ა(ა)იპ კულტურის ცენტრი	2026 წლის დაფინანსება	
			ათას ლარში	
05 02 01			625,6	
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური		ა(ა)იპ კულტურის ცენტრი		
ქვეპროგრამის აღწერა		ცაგერის მუნიციპალიტეტი დიდ ყურადღებას უთმობს ადგილობრივი კულტურულ საგანმანათლებლო ორგანიზაციების ხელშეწყობას. ამ მიზნით მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან ყოველწლიურად ასიგნებები გამოიყოფა კულტურის სფეროს დაწესებულებების პროგრამისათვის. პროგრამის შედეგება ქვეპროგრამისაგან და იგი შესაბამისად ხორციელდება მუნიციპალური ა(ა)იპ-ის ბაზაზე, ეს არის: ა(ა)იპ - ცაგერის კულტურის ცენტრი. ქვეპროგრამის ფარგლებში ფუნქციონირებს და ფინანსდება გრ.მდიენის სახ.სახალხო თეატრი,სახალხო ანსამბლი „სალაღობო“ ,ბავშვთა ფოლკლორული ანსამბლი, ბავშვთა 2 ქორეოგრაფიული ანსამბლი,ქალთა ანსამბლი, მუსიკალური სტუდია, კამერული გუნდი, კულტურული ობიექტი „მწვანე თეატრი“.ქვეპროგრამის ფარგლებში ხდება სხვადასხვა თეატრალური გამოფენების მოწყობა, სპექტაკლების და საბავშვო მიუზიკლების დადგმა. ანსამბლები და თეატრი აქტიურ მონაწილეობას იღებენ, როგორც ცაგერის მუნიციპალიტეტში ასევე ქვეყნის სხვადასხვა რეგიონში და საზღვარგარეთ კონცერტებსა და ფესტივალებში.		
ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი		კულტურულ შემოქმედებით ცხოვრებაში მოსახლეობის ფართო მასების ჩართულობა, მოსახლეობაში ტრადიციული კულტურის პოპულარიზაცია, შემოქმედებითი უნარების განვითარება; თეატრალური სფეროსადმი, მოსახლეობის დაინტერესების ზრდა და ჩართულობის გაზრდა;		

კოდი	ქვეპროგრამის დასახელება	ა(ა)იპ - ისტორიული მუზეუმი	2026 წლის დაფინანსება	
			ათას ლარში	
05 02 02			331,3	
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური		ა(ა)იპ - ისტორიული მუზეუმი		
ქვეპროგრამის აღწერა		ისტორიული მუზეუმის დაქვემდებარებაში შედის 8 მუზეუმი და სურათების გალერეა, დასაქმებულია 44 თანამშრომელი, ისტორიული მუზეუმის მიერ განხორციელდა სხვადასხვა პროექტები, მუზეუმის გიდებისა და ფონდების კორდინატორებისათვის ორდღიანი სამუშაო სესიის ჩატარება/კვალიფიკაციის ამაღლება, მთიანი კოლხეთის ისტორიული წარსულიდან/ ორდღიანი რეგიონული კონფერენცია, მიმდინარეობს არქივის მომზადება გაციფრულებისთვის, მუზეუმის და მასში შემავალი მუზეუმებში არსებული ექსპონატების და ნივთების დიჯიტალიზაცია.ზაფხული ლეჩხუმში _საგანმანათლებლო პროექტი ახალგაზრდებისათვის გალერეაში,სამემოდოგომო გამოფენა ცაგერის გალერეაში.მუზეუმში დღეის მდგომარეობით განთავსებული 9450ექსპონატი. მუზეუმში წლის განმავლობაში მნიშვნელოვან თარიღებზე(იუბილეებზე) ეწყობა სხვადასვა ღონისძიებები და გამოფენები.		
ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი		მუნიციპალურ მუზეუმში დღეის მდგომარეობით განთავსებულიაექსპონატი. წლის განმავლობაში ვიზიტორთა რაოდენობა საშუალოდ შეადგენს 1200-ზე მეტს. მუზეუმში წლის განმავლობაში მნიშვნელოვან თარიღებზე(იუბილეებზე) ეწყობა სხვადასვა ღონისძიებები და გამოფენები.		
ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი		ქვეპროგრამის მიზანია მუზეუმის ექსპოზიციის განახლება - რეაბილიტაცია, ვიზიტორთა რაოდენობის გაზრდა, როგორც ადგილობრივი, ისე ტურისტების.		



კოდი	ქვეპროგრამის დასახელება	ა(ა)იპ სამუსიკო სკოლა	2026 წლის დაფინანსება	
			ათას ლარში	
05 02 03			155,0	
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური		ა(ა)იპ სამუსიკო სკოლა		
ქვეპროგრამის აღწერა		სამუსიკო სკოლაში განათლებას იღებს ცაგერის მუნიციპალიტეტში მცხოვრები 70 ბავშვი. სკოლებში დასაქმებულთა რაოდენობა შეადგენს 14(ადმინისტრაციული პერსონალი და პედაგოგები) თანამშრომელს. სკოლა ხელს უწყობს კლასიკური მუსიკის პოპულარიზაციას, ისწავლება ფორტეპანო, ფუნქციონირებს კლასიკური მუსიკის გუნდი, მონაწილეობას იღებენ მუნიციპალიტეტის კულტურულ ღონისძიებებში, ასევე რეგიონულ ფესტივალებში.		
ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი		ფორტეპიანოს, სიმღერების, კლასიკური მუსიკის, ხელოვნების შესწავლით დინტერესებულ პირთა მოძიება და შეკრება. მუსიკალური ნიჭით დაჯილდოვებული ხელოვნების მოყვარული მოსწავლეების წარმოჩინება და ხელოვნების სფეროს პროპაგანდა.		

კოდი	ქვეპროგრამის დასახელება	ა(ა)იპ სამხატვრო სკოლა	2026 წლის დაფინანსება	
			ათას ლარში	
05 02 04			115,1	
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური		ა(ა)იპ სამხატვრო სკოლა		
ქვეპროგრამის აღწერა		სამხატვრო სკოლაში ისწავლება სახვითი ხელოვნების და გამოყენებითი ხელოვნების დარგები. სკოლაში სამხატვრო განათლებას მუნიციპალიტეტში მცხოვრები 50 ბავშვი. სკოლებში დასაქმებულთა რაოდენობა შეადგენს (ადმინისტრაციული პერსონალი და პედაგოგები) 17 თანამშრომელს. ქვეპროგრამა ზრუნავს მოზარდთა ესთეტიკური გემოვნების ჩამოყალიბებაზე და იგი ითვალისწინებს მოზარდი თაობის ინტერესებს, საშუალებას აძლევს მათ აირჩიონ სახვითი თუ გამოყენებითი ხელოვნების დარგები:ხატვა, თეატრი, ჭრა-კერვა, ხალიჩა-ფარდაგები, ეწყობა სხვადასხვა გამოყენებითი როგორც სკოლის აღსაზრდელების, ასევე სკოლის კურსდამთავრებულების, გაცვლითი პროგრამა აქვს ონის სამხატვრო სკოლასთან.		
ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი		სამხატვრო სკოლის პროფილების განვითარება, სასწავლო დონის ამაღლება, ხელოვნების მოყვარულ მოზარდთა კონტიგენტის გაზრდა. აღსაზრდელთა ჩართულობა გამოყენებში და სხვა შემოქმედებით ღონისძიებებში..		

კოდი	ქვეპროგრამის დასახელება	ა(ა)იპ მთავარი ბიბლიოთეკა	2026 წლის დაფინანსება	
			ათას ლარში	
05 02 05			368,2	
ქვეპროგრამის				



განმახორციელებელი სამსახური	ა(ა)იმ მთავარი ბიბლიოთეკა
ქვეპროგრამის აღწერა	<p>მუნიციპალიტეტის მოსახლეობის საგანმანათლებლო და კულტურული დონის ამაღლების მიზნით იგეგმება ბიბლიოთეკების დაფინანსება. მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს ერთი მთავარი, საბავშვო, ახალგაზრდობის და სოფლის 39 ბიბლიოთეკა. მიმდინარეობს წიგნის ფონდის შევსება და დაკომპლექტება ასაკობრივი კატეგორიების მიხედვით. ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი შეადგენს 173359 ბეჭდურ ერთეულს, აქედან 41231 ცალი არის ქალაქის წიგნადი ფონდი, ხოლო 132128 ცალი სოფლების წიგნადი ფონდი. ბიბლიოთეკას ჰყავს 68 საშტატო თანამშრომელი, აქედან 29 ქალაქის, ხოლო 39 სოფლის. ხორციელდება სხვადასხვა საგანმანათლებლო და შემეცნებითი ღონისძიებების ჩატარება.(წიგნის დღე, დედა ენის დღე, მკითხველის დღე და ა.შ).</p> <p>საბიბლიოთეკო ფონდების შეგროვება, აღრიცხვა–დამუშავება და საკატალოგო მეურნეობის წარმოება საბიბლიოთეკო წესების შესაბამისად, მათი დაცვის უზრუნველყოფა;</p> <p>საცნობარო–ბიბლიოგრაფიული აპარატის სრულყოფა, საბიბლიოთეკო მარკენებლების შედგენა და სტატისტიკის წარმოება, მონაცემთა ბაზის შექმნა;</p> <p>საბიბლიოთეკო პროცესებში ელექტრონული საცნობარო აპარატის და მონაცემთა ბაზის (წიგნებისა და ჟურნალ–გაზეთების ელექტრონული კატალოგები, ელექტრონული წიგნები, ჟურნალ–გაზეთების სტატიების ელექტრონული კატალოგები) შექმნა და სრულყოფა, ელექტრონული პროგრამების და ინფორმაციული ტექნოლოგიების დანერგვა და სრულყოფა, კომპიუტერული ქსელის და ქსელური აპარატურის ფუნქციონირების უზრუნველყოფა; <a href="http://www.libmuseum.ge">www.libmuseum.ge</a></p> <p>მოქალაქეთა მომსახურება საბიბლიოთეკო ფონდებით, კატალოგებით, კარტოთეკებით, ელექტრონული რესურსებით, ტექნიკური საშუალებებით და ინტერნეტით, საყოველთაო ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა;</p> <p>კულტურულ–საგანმანათლებლო და სამეცნიერო–ინფორმაციული ღონისძიებების, საკლუბო შეხვედრების, სპეციალიზირებული სემინარების და ტრენინგების მომზადება–ჩატარება, გამოფენების მოწყობა, საინფორმაციო ბაზის შექმნა და სრულყოფა;</p> <p>საბიბლიოთეკო საქმიანობის წარმოება საერთაშორისო სტანდარტების და სახელმწიფო კანონმდებლობის შესაბამისად. მუზეუმებსა და ბიბლიოთეკებში ინფრასტრუქტურული სამუშაოების ჩატარება.სამუზეუმო ექსპონატების აღწერა, საინვეტარო წიგნში გატარება, დაცვა, მოვლა–პატრონობა.ასევე მუზეუმების ფონდების აღრიცხვა–დამუშავება.</p> <p>კულტურულ–საგანმანათლებლო და სამეცნიერო–ინფორმაციული ღონისძიებების, საკლუბო შეხვედრების ორგანიზება. ახალგაზრდობის წიგნების წარდგენები, ლიტერატურული სადამოები, შემეცნებითი დისკუსიები, ცნობილი მწერლების დაბადების დღისადმი მიძღვნილი საიუბილეო სადამოები, ცაგერში მოღვაწე შემოქმედ, ღვაწლმოსილ და ცნობილ პიროვნებებთან შეხვედრები, ღირსშესანიშნავი თარიღებისადმი მიძღვნილი სადამოები „ბიბლიოთეკის კვირული, ლექციები, კონფერენციები, სემინარები, საშობაო–საახალწლო შეხვედრები, მხატვრული, დოკუმენტური და ანიმაციური ფილმების ჩვენებები, საკლუბო შეხვედრები.</p>
ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	<p>ბიბლიოთეკის მუზეუმების მუშაობა. მოსახლეობის ცნობიერების ამაღლება, ჩართულობისა და დაინტერესების ზრდა, განსაკუთრებით მოსწავლე–ახალგაზრდობის დაინტერესება წიგნით, და მათი წიგნიერების დონის ამაღლება. საბიბლიოთეკო ფონდის ზრდა. ა(ა)იპ–ის მთავარი მიზანია რომ დავაინტერსოთ მკითხველი და ავამაღლოთ ცნობიერების დონე.</p>

კოდი	ქვეპროგრამის დასახელება	კულტურული ღონისძიებები	2026 წლის დაფინანსება
			ათას ლარში
05 02 06			193.9
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ცაგერის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური.		
ქვეპროგრამის აღწერა	<p>კულტურული ღონისძიებების ფარგლებში ფინანსდება შემდეგი ქვეპროგრამები:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>-სადღესასწაულო და კულტურული ღონისძიებების ქვეპროგრამა;</li> <li>- საპატოო წოდებების მინიჭების ქვეპროგრამა;</li> <li>-სპორტის და ახალგაზრდობის ქვეპროგრამა</li> <li>-რელიგიური ღონისძიებები</li> </ul> <p>საპატოო წოდების მინიჭების ქვეპროგრამა ითვალისწინებს 3 სახის წოდების მინიჭების ღონისძიებების დაფინანსებას, ესენია: ცაგერის საპატოო მოქალაქის წოდებების მინიჭება; კულტურის, სპორტის და სამედიცინო სფეროს წარმომადგენელთათვის საპატოო წოდებების მინიჭება და/ან ჯილდოების გადაცემა; ცაგერის საპატოო მოქალაქის წოდება ენიჭება სრულწლოვან პირს, რომელსაც აქვს განსაკუთრებული დამსახურება მუნიციპალიტეტისა და/ან ქვეყნის წინაშე. გააჩნია განათლების, მეცნიერების, კულტურის, სპორტის, ხელოვნების და სხვა მიმართულებით გამორჩეული მიღწევები.</p> <p>კულტურის, სპორტის და სამედიცინო სფეროს წარმომადგენელთათვის საპატოო წოდების მინიჭების ღონისძიებების ფარგლებში ხორციელდება კულტურის, სპორტის და სამედიცინო სფეროს</p>		



მოღვაწეებისთვის საპატიო წოდებების მინიჭებას და/ან ფულადი ჯილდოების გადაცემას.

<p><b>ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი</b></p>	<p>მუნიციპალიტეტის მოსახლეობის და სტუმრებისათვის სადღესასწაულო და სასიამოვნო გარემოს შექმნა; ზოგადოების ფართო ნაწილის ჩართულობა სადღესასწაულო ღონისძიებებში; ნიჭიერი და პერსპექტიული შემოქმედების წარმოჩენა;</p> <p>ღირსეული, ღვაწლმოსილი და დამსახურებული ადამიანების დაფასება, მხარდაჭერა და სტიმულირება. საზოგადოებაში მოხალისეობის იდეის წახალისება, აქტიური და ინიციატორი მოქალაქეების სტიმულირებას.</p> <p>განხორციელებული ღონისძიებებისადმი საზოგადოების ინტერესის, ასევე, ღონისძიებებზე მონაწილეთა და დამსწრეთა რაოდენობის ზრდა.</p>
---	--

კოდი	პროგრამის დასახელება	ახალგაზრდობის მხარდაჭერა	2026 წლის დაფინანსება
			ათას ლარში
05 02 14			630,0
<p><b>პროგრამის განმახორციელებელი სამსახური</b></p>	<p>ა(ა)იპ ახალგაზრდობის და საზოგადოებასთან ურთიერთობის ცენტრი</p>		
<p><b>პროგრამის აღწერა</b></p>	<p>პროგრამა ითვალისწინებს ახალგაზრდული ინიციატივების, ადგილობრივი და საერთაშორისო ახალგაზრდული პროექტების ხელშეწყობას, იგი ორიენტირებულია: მასობრივი სპორტის პოპულარიზაცია და განვითარებაზე, საზოგადოებაში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრებაზე, მოსახლეობის მაქსიმალურ ინკლუზიაზე მასობრივ სპორტულ ღონისძიებებში. იგი ასევე გულისხმობს ცაგერის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობისთვის ცაგერში მდებარე სხვადასხვა პროფილის სკოლისგარეშე დაწესებულებების სასწავლო პროგრამებზე თანაბარი წვდომის ხელშეწყობას. პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია ტრანსპორტის მომსახურების შესყიდვა. ტრანსპორტირება განხორციელდება სამ ძირითად მარშრუტზე სასწავლო პროგრამებში ჩართული ახალგაზრდების გადაადგილების უზრუნველსაყოფად.</p> <p>პროგრამა ასევე მოიცავს ახალგაზრდობისთვის გასართობი, შემეცნებითი, სპორტული ღონისძიებების პოპულარიზების ხელშეწყობის მიზნით დაგეგმილი აქტივობების მხარდაჭერას. პროგრამის განხორციელებით ახალგაზრდებს საკუთარი უნარების რეალიზებისა და განვითარების შესაძლებლობა მიეცემა.</p> <p>პროგრამა შედგება შემდეგი შემდეგი 3 ქვეპროგრამისაგან:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>- ახალგაზრდული ღონისძიებების ხელშეწყობის ქვეპროგრამა;</li> <li>- მასობრივი სპორტული ღონისძიების ორგანიზება, ქვეპროგრამა;</li> <li>- მოსწავლე ახალგაზრდობისთვის სკოლისგარეშე დაწესებულებებზე წვდომის ხელშეწყობის ქვეპროგრამა.</li> </ul> <p>ახალგაზრდული ღონისძიებების ხელშეწყობის ქვეპროგრამა ითვალისწინებს ქვეყნის მასშტაბით გასამართ სხვადასხვა ახალგაზრდულ ღონისძიებებზე პირის/პირთა ჯგუფის ტრანსპორტირებას, სპორტულ ოლიმპიადებისთვის მონაწილეთა ფორმების შეძენას და მათ დაჯილდოებას, კულტურულ-შემეცნებითი ღონისძიების მოწყობას, სოციალურ-საგანმანათლებლო პროექტებში მონაწილეობას;</p>		
<p><b>პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი</b></p>	<p>სამოქალაქო საზოგადოების მშენებლობაში ახალგაზრდობის ჩართულობის ზრდა;</p> <p>ახალგაზრდობისთვის სოციალურ-საგანმანათლებლო, გასართობ-შემეცნებით, სპორტულ და სხვა ტიპის ღონისძიებების მოწყობა და მათში მონაწილეობის მიღება;</p> <p>ახალგაზრდობისთვის შეიქმნება შესაბამისი გარემო საკუთარი უნარების განვითარებისა და რეალიზებისათვის.</p>		

კოდი	პროგრამის დასახელება	ტელე-რადიო მაუწყებლობა და საგამომცემლო საქმიანობა	2026წლის დაფინანსება
			ათას ლარში
05 02 07			6.1
<p><b>პროგრამის განმახორციელებელი სამსახური</b></p>	<p>ცაგერის მუნიციპალიტეტის მერია</p>		
<p>პროგრამა ითვალისწინებს ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელების ძირითადი პრინციპის, დემოკრატიის გზით გადაწყვეტილების მიღების პროცესში მოქალაქეთა ჩართულობის უზრუნველყოფას. რისთვისაც ერთ-ერთი საჭირო და მნიშვნელოვანი მექანიზმია მოსახლეობის ინფორმირება</p>			



<p><b>პროგრამის აღწერა</b></p>	<p>ადგილობრივი ხელისუფლების (როგორც წარმომადგენლობითი ისე აღმასრულებელი ორგანოს) მიერ მუნიციპალიტეტში გაწეული საქმიანობის შესახებ. მიმდინარე და დაგეგმილი პროექტების, პროგრამებისა და აქტივობების შესახებ სრული ინფორმაციის დროული გავრცელება. ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება მუნიციპალიტეტის ვებ გვერდის ფუნქციონირება, სადაც ყოველდღიურ რეჟიმში ხდება ინფორმაციის განთავსება, გამოდის ყოველთვიური გაზეთი „ლეჩხუმი“</p> <p>უზრუნველყოფილი იქნება საზოგადოებისათვის საჭირო ინფორმაციის განცხადების სახით გავრცელება და სხვა მნიშვნელოვანი და აქტუალური თემების გაშუქება.</p>
<p><b>პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი</b></p>	<p>ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელების ძირითადი პრინციპის, დემოკრატიის გზით გადაწყვეტილების მიღების პროცესში მოქალაქეთა ჩართულობის უზრუნველყოფა;</p>

კოდი	ქვეპროგრამის დასახელება	ა(ა)იპ ბავშვთა და ქალთა უფლებების დაცვის ცენტრი	2026 წლის დაფინანსება	
			ათას ლარში	
05 02 09				263.4
<p><b>ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური</b></p>		<p><b>ა(ა)იპ ბავშვთა და ქალთა უფლებების დაცვის ცენტრი</b></p>		
<p><b>ქვეპროგრამის აღწერა</b></p>		<p>ქალთა რეგიონალური და სათემო საქმიანობის, საზოგადოების ცნობიერების ამაღლების ქალთა და ბავშვთა უფლებების დაცვის საკითხებთან მიმართებაში და საქართველოში ბოლო დროის შექმნილი მდგომარეობის, მალადობის მსხვერპლი ქალების უფლებების დაცვის მიზნით, ასევე ბავშვთა უფლებების დაცვის მიზნით შეიქმნა ა(ა)იპ ქალთა და ბავშვთა უფლებების დაცვის ცენტრი. მოსაწილეობა სხვადასხვა ადგილობრივ და საერთაშორისო პროგრამებში. ბავშვთა უფლებების დაცვის მიზნით კვლევების და სტატისტიკური ინფორმაციების მოპოვება და წარმოება, შესაბამისი ბაზის შექმნა.</p>		
<p><b>ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი</b></p>		<p>სამოქალაქო საზოგადოების მშენებლობაში ქალთა ჩართულობის ზრდა;</p> <p>ქალებისათვის სოციალურ-საგანმანათლებლო, გასართობ-შემეცნებით და სხვა ტიპის ღონისძიებების მოწყობა და მათში მონაწილეობის მიღება;</p> <p>ქალებისათვის შეიქმნება შესაბამისი გარემო საკუთარი უნარების განვითარებისა და რეალიზებისათვის.</p> <p>ბავშვთა უფლებების დაცვა.</p>		

კოდი	ქვეპროგრამის დასახელება	ა(ა)იპ ესთეტიკური აღზრდის ცენტრი	2026 წლის დაფინანსება	
			ათას ლარში	
05 02 11				108,6
<p><b>ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური</b></p>		<p><b>ა(ა)იპ ესთეტიკური აღზრდის ცენტრი</b></p>		
<p><b>ქვეპროგრამის აღწერა</b></p>		<p>ქვეპროგრამა ითვალისწინებს მოზარდ თაობაში ქართლი ხალხური ცეკვების პოპულარიზაციასა და განვითარებას, საზოგადოებაში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრებაზე, ცენტრში ქორეოგრაფიას ეუფლება 120-ზე მეტი მოზარდი, არის 3 ასაკობრივი ჯგუფი, რომლებიც მონაწილეობას იღებენ , როგორც მუნიციპალიტეტის , ასევე რეგიონალურ და საერთაშორისო ღონისძიებებში, ცენტრში ფუნქციონირებს სახალხო ანსამბლი“ლეჩხუმი“. ცენტრში ისწავლება ასევე სხვადასხვა ქვეყნის ეროვნული ცეკვები. საქმიანობას ახორციელებს 4 ქორეოგრაფი.</p>		
<p><b>ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი</b></p>		<p>ქვეპროგრამა ითვალისწინებს ქართული ხალხური და სხვა ქვეყნების ცეკვების პოპულარიზაციას და ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას.</p>		



კოდი	ქვეპროგრამის დასახელება	ა(ა)იპ ტურიზმის განვითარების და მეგლთა დაცვის ხელშეწყობის ცენტრი	2026 წლის დაფინანსება	
			ათას ლარში	
05 02 15			215,0	
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური		ა(ა)იპ ტურიზმის განვითარების და მეგლთა დაცვის ხელშეწყობის ცენტრი		
